



დამტკიცებულია

*წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი*

№ 10 26.12.2017 წ.

ლ. ხვედელიძე

ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ნდ №2-010301-06-06

ბათუმი

2017

წინასიტყვაობა:

1. შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
2. დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
3. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;
4. ინსტრუქციის პერიოდული შემოწმება ხდება არაუგვიანეს 12 თვისა;
5. ცვლილებები მუშავდება სასწავლო უნივერსიტეტში ინსტრუქციის გამოყენების შედეგების ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც დამუშავდა ეს ინსტრუქცია.

ინსტრუქციაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი:

ცვლილებების ბიულეტენის №	ცვლილებების დამტკიცების თარიღი	შეცვლილი გვერდები	კორექტირების შემსრულებელი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

1. გავრცელების სფერო

- 1.1. წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს ასოცირებული პროფესორის ვალდებულებებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- 1.2. წინამდებარე ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს ასოცირებული პროფესორისთვის;
- 1.3. წინამდებარე ინსტრუქციის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია);
 3. ფაკულტეტებზე (ელ. ვერსია).

2. თანამდებობრივი ინსტრუქციის ნორმატიული საფუძვლები

- 2.1. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- 2.2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- 2.3. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
- 2.4. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრონციპები;
- 2.5. ISO 9001-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები.
- 2.6. ISO 9000-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ლექსიკონი.
- 2.7. ნდ №2-010101 - ბნსუ-ის წესდება;
- 2.8. ნდ №2-010102 - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი) მისი დანართების ჩათვლით;
- 2.9. ნდ №2-010101-02 - ბნსუ-ს ფაკულტეტის დებულება;
- 2.10. ნდ №2-030101-01 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება;
- 2.11. ნდ №2-030101-12 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- 2.12. ნდ №2-020101 - ბნსუ-ის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 2.13. ნდ №2-020101-01-ქ - შიგა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების და მართვის პროცედურა;
- 2.14. ნდ №2-020101-02-ქ - „დოკუმენტებისა და ფორმების იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციის პროცედურა“.

3. ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ხს - ხარისხის სისტემა;
- ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
- პროფესიული განათლების კრედიტი - პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის (დატვირთვის) გამომხატველი ერთეული;
- სდ - საინფორმაციო დოკუმენტი;
- სსა - საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;
- ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- სტრუქტურული ერთეულის დებულება - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
- აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი ინსტრუქცია

4.1. ზოგადი დებულებები

1. ასოცირებული პროფესორი მიეკუთვნება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) აკადემიურ პერსონალს;
2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა ჩატარდეს კონკურსის მომენტისთვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების, ბნსუ-ში მოქმედი წესებისა და გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;
3. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ძირითად მოთხოვნებს და პირობებს ადგენს კონკურსის ჩატარების მომენტისთვის მოქმედი საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, დამატებით პირობებს/მოთხოვნებს - ბნსუ-ში მოქმედი რეგულაცია „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“;
4. ასოცირებული პროფესორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებით და სახელმძღვანელო პრონციპებით, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებით, შინაგანაწესით, ფაკულტეტის დებულებით, აკადემიური პერსონალის საქმიანობის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით, ატესტაციის წესით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით და სასწავლო პროცესის წარმართვის წესებით, წინამდებარე ინსტრუქციით, ბნსუ-ს პარტნიორთა კრების, წარმომადგენლობითი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებებით, ფაკულტეტის დეკანის და ბნსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელო-კანცლერის ინდივიდუალური აქტებით;
5. ასოცირებული პროფესორის ძირითადი ამოცანები: სასწავლო პროცესის წარმართვა/წარმართვაში მონაწიეობა, ავილირების შემთხვევაში - ასევე, „აკადემიური პერსონალის ავილირების წესში“ გათვალისწინებული საქმიანობის შესრულება, აკადემიური პერსონალისათვის (ავილირების შემთხვევაში - ასევე, ავილირებული პერსონალისთვის) დადგენილი დატვირთვის შესრულება, სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესების და შესასწავლო საკითხების უკეთ ათვისების, კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფის ხელშეწყობა, ბნსუ-ს განვითარებისა და ბნსუ-ში სწავლების ხარისხის სრულყოფის ხელშეწყობა;
6. ასოცირებული პროფესორი ანგარიშვალდებულია აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების, რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

4.2. ვალდებულებები

ასოცირებული პროფესორი ვალდებულია:

1. იცოდეს ბნსუ-ს მისია, საგანმანათლებლო პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, მოთხოვნები განათლებისა და ხარისხის სფეროში, ბნსუ-ს შინაგანაწესი, ფაკულტეტის დებულება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის დატვირთვის, ატესტაციის და სხვ. მარეგულირებელი დებულებები/წესები, ავილირებული პერსონალის შემთხვევაში - ასევე, აკადემიური პერსონალის ავილირების წესი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
2. დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ბნსუ-ში არსებული ხარისხის სისტემის მოთხოვნები და სტანდარტები;
3. შეასრულოს ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულების/წესების მოთხოვნები;
4. შეასრულოს აკადემიური პერსონალისათვის დადგენილი დატვირთვა (ავილირების შემთხვევაში - ასევე, ავილირებული პერსონალისთვის დადგენილი დატვირთვა);
5. სასწავლო პროცესი წარმართოს ბნსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების და პროგრამის კომპონენტის სილაბუსის შესაბამისად;
6. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე გააცნოს სტუდენტებს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი და განუმარტოს სილაბუსში მოცემული ინფორმაცია;
7. განაახლოს/დახვეწოს მის მიერ განხორციელებული პროგრამის კომპონენტის სილაბუსი, დაიცვას მოქმედი სილაბუსის ფორმა;
8. სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს (ამონაბეჭდი და ელ. ვერსიები) შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საკითხების რამდენიმე ვარიანტი, დროულად შეავსოს მიმდინარე შეფასებების და საგამოცდო უწყისები;
9. პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებისას უზრუნველყოს სტუდენტთა უსაფრთხოება, იცოდეს და ასწავლოს სტუდენტებს უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები და გააკონტროლოს ამ მოთხოვნების სრული დაცვა;
10. დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცემილი საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და/ან სხვ.) და არასაკონტაქტო (საკონსულტაციო და სხვ.) საათები;
11. უზრუნველყოს სწავლების და განათლების ხარისხი;
12. უზრუნველყოს სტუდენტების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობა;
13. გაუწიოს დახმარება სტუდენტთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ჩაუტაროს სტუდენტებს კონსულტაციები და უზრუნველყოს მათი შეფასებების განხილვა;
14. ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში და კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფას, დაეხმაროს სტუდენტებს კვლევითი ან შემოქმედებითი ნაშრომების/პროექტების შემუშავებაში, მოამზადოს ისინი კონფერენციებში მონაწილეობისთვის;
15. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში/ბნსუ-ს მონაწილეობით დაგეგმილ ღონისძიებებში/პროექტებში, სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებში;
16. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს შესრულებული აკადემიური დატვირთვის ანგარიში;
17. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევიდან ყოველ 05 წელიწადში ერთხელ გაიაროს ატესტაცია;
18. პირადად შეასრულოს ბნსუ-ს შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;
19. პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე;
20. დაიცვას ბნსუ-ს შინაგანაწესის, მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი და ქცევის წესები;
21. შეასრულოს პარტნიორთა კრების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელო-კანცლერის, აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები.

4.3. უფლებები

ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს:

1. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში;
2. იყოს აკადემიური, წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოს წევრი;
3. იყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. იყოს დანიშნული ფაკულტეტის დეკანის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე;
5. იყოს ბნსუ-ში და ფაკულტეტზე შექმნილი კომისიების წევრი;
6. მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და იყოს პროგრამის ხელმძღვანელი;
7. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი, სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და სხვ., იყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი და რეცენზენტი;
8. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში და სხვ.;
9. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები ბნსუ-ს მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით;
10. მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება;
11. მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში;
12. გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროგრამის და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ;
13. მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულებით და ბნსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება;
14. განახორციელოს საქმიანობა წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის, ბნსუ-ს შინაგანაწესის და სხვა მოქმედი წესების/დებულებების შესაბამისად, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

4.4. პასუხისმგებლობები

1. ასოცირებული პროფესორი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;
2. პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:
 1. შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე ინსტრუქციით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
 2. შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის დაცვა;
 3. ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა;
 4. არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

